

## სადეზინჯექციო საშუალებების მიღება-გამოყენების ტექნოლოგიური პროცესი და მოკლე მეთოდური მითითება

ზაზა ფადიურაშვილი, ლერი გვასალია, მაია წვერავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია მოკლე მეთოდური მითითებები სადეზინჯექციო საშუალებების მიღება-გამოყენებაზე. მოცემულია მისი მიღების ტექნოლოგიური სქემა სათანადო აზსნითა და განმარტებებით. წარმოდგენილია ფიზიკო-ქიმიური მონაცემები და მუშა სინარების მომზადების წესები. შემოთავაზებულია მზა პროდუქციის მომზადების ტექნოლოგიური სქემა და განხილულია პროცესის შესრულების მიმდინარეობა. შესწავლილია ექსპერიმენტის დროისა და სადეზინჯექციო კონცენტრატის პროცენტობის ურთიერთდამოკიდებულება და აუცილებელი პირობა მიღებული შედეგების ეფექტურობისათვის.

**საკანონი სიტყვები:** ტექნოლოგიური პროცესი. დეზინჯექცია. სტერილიზაცია. ტოქსიკურობა. ანტისეპტიკი.

### 1. შესავალი

მეთოდური მითითებები თხევად, ტაბლეტურ ან ფენილის სახით დეზინჯექტ-სტერილიზატორზე განკუთვნილია სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების პერსონალთავის, სადეზინჯექციო სადგურების მუშაობისთვის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედმხედველობის ცენტრებისათვის და სხვა მრავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საჭიროებენ სადეზინჯექციო სანიტარული ღონისძიებების ჩატარებას.

არსებობს სადეზინჯექციო საშუალებების მიღების და დამზადების მრავალი სახეობა, რომლებიც გამოირჩევიან მეტ-ნაკლები ეფექტურობით, მაგრამ გამოირჩევიან დამზადების როგორი ტექნოლოგიური პროცესებითა და ძლიერი ტოქსიკურობით, ამავე დროს სიძირით.


ნაშრომისმიზანია სადეზინჯექციო საშუალებების მიღების გამარტივებული ტექნოლოგიური სქემის წარმოჩენა და მისი გამოყენებით მიღებული საშუალებების დადგითი და უარყოფითი მახასიათებლების განხილვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიური სქემა გამოირჩევა თავისი სიმარტივითა და უბრალოებით. დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს ვახორციელებთ ორ ვარიანტად, როდესაც ვდებულობთ დეზინჯექტანტის ხსნარის სახით და ვდებულობთ ტაბლეტების სახით. ამ დროს ციკლში დამატებულია მხოლოდ სატაბლეტე მოწყობილობა (ნახ.1).

### 2. ძირითადი ნაწილი

ვიღებთ ნიტრატულ ფვენილს, ლიმონის ფენილს და ბენეტონიტურ თიხას ფენილის სახით. სამივეს ვიღებთ განსაზღვრული კოცენტრატით და ვურთავთ ფვენილების შემრევში, სადაც ვანხორციელებთ შერევას ერთგვაროვანი მასის მიღებაზე. ნარევი გადაგვაქს ცომის მოსაზელ მოწყობილობაში სადაც ვამატებთ სპირტულ ნაერთს და არომატიზატორს და ვახდეთ ნაერთის მოზელას ცომის სახით მიღებამდე. შემდეგ ვაწარმოებთ პროცესის გაგრძელებას ორი მიმართულებით:

- დეზინჯექტანტის მისაღებად ხსნარის სახით ცომი გადაგვაქს მის წყალში გამხსნელ საცავში, სადაც ხდება წყალხსნარის მიღება განსაზღვრული კონცენტრატით. შემდეგ ხდება მისი დაფასოება სპეციალურ ბოთლებში ან ბალონებში და განთავსდება სარეალიზაციო საწყობში;

- დეზინჯექტანტის მისაღებად ტაბლეტების სახით მოზელილი ცომი გადაგვაქს საშრობ კარადაში და გამოშრობის შემდეგ (განსაზღვრულ ტემპერატურამდე) ვახორციელებთ მის ტაბლეტირებას სატაბლეტე მანქანით, ვაშრობთ ტაბლეტებს ხელახლა, ვაფასოებთ და გადაგვაქს სარეალიზაციო საწყობში.



**ნახ.1. სადეზინფექციო-სასტაციო დეზინფექციის მიღების  
ტექნოლოგიური სქემა**

მუშა სინარი არის წყალში გახსნილი ტაბლეტი ან კონცენტრატი (თხევადი დეზინფექტანტი-სტერილიზატორი) შემდეგი ფიზიკო-ქიმიური მონაცემებით ცხრილი №1.

**სინარის ფიზიკო-ქიმიური მონაცემები**

**ცხრ.1**

№	დასახელება	2,5%-იანი სინარის მოცემულობა	მუშა დყლიანი ნალება 0,01-0,06 2,5%-მდე
1	ფიზიკური მდგომარეობა	სითხე ან ტაბლეტი	სითხე
2	გარეგნული სახე	ოდნავ ლიმონის ფერი სითხე ან ყავისფერი ტაბლეტი	გამჭირვალე ლიმონის ფერი სითხე
3	გემო	მომჟავო	ოდნავ მომჟავო
4	PH	2,0-3,0	3,5-5,5,
5	სიმკვრივე $20^{\circ}\text{C}$ -სას გრ/სმ <sup>3</sup>	1,0-1,2	0,9-1,1
6	სიბლანტე $20^{\circ}\text{C}$	<1,5 სეპ	<15 სეპ
7	სტაბილურობა	$0^{\circ}\text{C}$ -ან + $3,5^{\circ}\text{C}$ -მდე	+ $50^{\circ}\text{C}$ -ან $35^{\circ}\text{C}$ -მდე
8	ვარგისიანობა	ტაბლეტი 5 წელი სითხე 3 წელი	5 ოვე
9	სინადობა	კარგა იხსნება წყალში	კარგად იხსნება წყალში
10	სუნი	სპირტისა და ლიმონის შეზავებული სუნი	უსუნო ან არომატიზატორის სუნი
11	ტოქსიკურობა	არ შეიძნევა	არ შეიძნევა
12	ვარგოზე გავლენა	არ შეიძნევა	არ შეიძნევა
13	ტეროლადობა $20^{\circ}\text{C}$	უზიშვნელო რაოდენობით	არა აქსოდიდი

დეზინფექტანტი განსაკუთრებით მოსახერხებელია და ხელსაყრელია კლინიკური ლაბორატორიების, საპროცედურო კაბინეტების, ინსტრუმენტების (ლიმონის, რეზინის, პლასტმასის, მინის და სხვა მასალისგან) ინვესტორის, კომუნალური ობიექტების, მაღაზიების, აეროპორტების, სადგურების, სატრანსპორტო საშუალებების, საუნების, საცურაო აუზების, სასტუმროების, სამხედრო ყაზარმების, სკოლების და ა.შ. დეზაქტივაციისათვის.


სამუშაო ხსნარების მომზადება შეიძლება განხორციელდეს წარმოდგენილი მე-2 ცხრილის მიხედვით:

მუშა ხსნარების მომზადება

ცხრ.2

№	მუშა ხსნარის კონცენტრატი %	კონცენტრატის რაოდენობა 1ლ. ხსნარში მლ.	
		კონცენტრატი 2,5%	წყალი
1	0,1	40 მლ	960 მლ
2	0,25	100 მლ	900 მლ
3	0,5	200 მლ	800 მლ
4	1,0	400 მლ	600 მლ
5	1,5	600 მლ	400 მლ
6	2,0	800 მლ	200 მლ

მაგალითისთვის, მე-2 ნახაზზე წარმოდგენილია საღეზინფექციო საშუალების ბაქტერიოციული მოქმედება (რეზისტენტულობა) განსხვავებით საშიში ინფექციების გამომწვევ სპოროგენული ფორმების მიმართ, როგორიცაა მაგალითად ციმბირული წყლული (ჯილები) და სხვა. აქ აქცენტი გამახვილებულია ექსპერიმენტის დროსა და კონცენტრატის %-ობის ურთიერთ დამოკიდებულებაზე, რაც გარკვევით ჩანს წარმოდგენილ მრუდზე.



ნაზ.2

ე.ი. 5,0% ხსნარით ჩვენი დეზინფექტანტი რეზიდენტულია 30 წუთის განმავლობაში, ხოლო 2,5%-იანი ხსნარით მისი ბაქტერიოცედული მოქმედებით სპოროგენული ფორმების ბოლომდე განადგურებას ახერხებს 60 წთ-მდე დროში, რაც თვლება საუკთხო შედეგად დღემდე არსებული დეზინფექტებს შორის (ცხრ.3). აქ ნაჩვენებია განსაკუთრებით საშიში ინფექციური ზოგიერთი სახეები და მათი გაუცნებელყოფის შეთხევები.

№	საშიში ინფექციის დასახელება	დრო წთ	კონცენტრატი %					ინფექციის დონე
			0,5	1,0	1,5	2,0	2,5	
1	შავი ჭირი	60	+	+/-	-	-	-	გსი
		120	+/-	-	-	-	-	
2	ჯილები	60	+	+	+	+/-	-	გსი
		120	+	+	+	-	-	
3	ქოლერა	60	+	-	-	-	-	გსი
		120	+/-	-	-	-	-	

სადაც გსი – განსაკუთრებით საშიში ინფექცია;

+ ვირუსების ზრდა შეიმჩნევა;

- ზრდა აღარ შეიმჩნევა;

+/- ვირუსების ნაწილობრივი ზრდა.

### 3. დასკვნა

სისტემური მიღების საფუძველზე დადასტურებულია შემოთავაზებული სადეზინფექციო საშუალების (სითხე ან ტაბლეტის სახით) ეფექტურობა ბაქტერიოციდული მოქმედებით სპოროგენური ფორმების ბოლომდე გასანადგურებლად (შავი ჭირი, ჯილები, ქოლერა და ა.შ.), რაც ითვლება საუკეთესო შედეგად საერთაშორისო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

#### ლიტერატურა:

1. ფადიურაშვილი ვ., ძიმისტარიშვილი ო. (1997). სადეზინფექციო საშუალებების მიღების ხერხი. სას. მოდელი №300, საქართველოს საპატენტო დეპარტამენტი. თბილისი.
2. Пхакадзе Г.Я. (1991). Активность антисептиков и дезинфектантов в отношении отдельных видов бактерии. – М., Мед.
3. ფადიურაშვილი ზ., წვერავა მ., ფადიურაშვილი ვ., გვასალია ლ. (2013). ნტისეპტიკური და სადეზინფექციო საშუალებების და მოქმედების ასპექტები. ქუთაისის სახ. უნივ. 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშ.სამეცნ. კონფ. მასალები. გვ.3.

## TECHNOLOGICAL PROCESS OF PRODUCTION AND USE OF DISINFECTANTS AND BRIEF METHODOLOGICAL GUIDELINES

Fadiurashvili Zaza, Gvasalia Leri, Tsverava Maia

Georgian Technical University

#### Summary

Considered a short methodological guidance on the preparation and use of disinfectants. Presented physicochemical data disinfectants, methods of preparation of working solutions and technological scheme of the finished product. Studied issues of interdependence between the time of the experiment process and the concentration of disinfectant, as well as the necessary conditions for the effectiveness of the results.

## ТЕХНОЛОГИЧЕСКИЙ ПРОЦЕСС ПОЛУЧЕНИЯ И ПРИМЕНЕНИЯ ДЕЗИНФЕКЦИРУЮЩИХ СРЕДСТВ И КРАТКИЕ МЕТОДИЧЕСКИЕ УКАЗАНИЯ

Падиурашвили З., Гвасалия Л., Цверава М.

Грузинский Технический Университет

#### Резюме

Рассмотрены краткие методические указания по получению и применению дезинфектантов. Представлены физико-химические данные дезинфектантов, методы приготовления рабочих растворов и технологическая схема получения готового продукта. Изучены вопросы взаимозависимости между временем эксперимента процесса и концентрацией дезинфицирующего средства, а также необходимые условия для эффективности полученных результатов.